შიდა ქართლის თანამედროვე ლანდშაფტები

ჯალაბაძე მარიამი

ელ-ფოსტა:Mariam.jalabadze@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტემენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179 საქართველო

ანოტაცია

ბუნებრივი გარემოს დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს გეოგრაფიის,ეკოლოგიისა და დედამიწის შემსწავლელ სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროს მკვლევართა ადეკვატურ რეაქციას ბუნებრივი გარემოს ცვლილებაზე,განსაკუთრებით კი ანთროპოგენური ფაქტორის ზეგავლენაზე.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი გეოკომპლექსის ,როგორც ღია სისტემის ცვლილების კანონზომიერებათა გათვალისწინებას და ლანდშაფტური ანალიზის ჩატარებას, არა მხოლოდ მცირე მოცულობის საკვანძო უბნებზე, არამედ მსხვილი ფიზიკურ გეოგრეფიული რეგიონების და მდინარეთა აუზების ფართობზეც.

საქართველოში რეგიონალურ კვლევას სისტემატიური ხასიათი მიეცა.მისი ბუნების კვლევას აწარმოებდნენ როგორც ქართველი ისე უცხოელი ბუნების მკვლევარი გეოგრაფები.ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველ გეოგრაფთა გამოკვლევები.საქართველოსა და კავკასიის მთლიანი ტერიტორიის ფონზე შიდა ქართლის გეოგრაფიული გამოკვლევა წარმოებდ, როგორც ბუნებრივი კომპლექსის შემადგენელი კომპონენტების, ისე თვით ბუნებრიბ-ტერიტორიული კომპლექსების (ლანდშაფტების) ჭრილში, გამოკვლევებს აქვს როგორც მეცნიერული, ისე წმინდა პრაქტიკული ღირებულება. ყოველ ამგვარ შესწავლას კი წინ უძღოდა და უძღვის საექსპედიციო და კამერალური სამუშაოები.წარმატებით სრულდებოდა და ღესაც სრულდება შიდა ქართლის ბუნების სხვა კომპონენტების (რელიეფის,ჰავის,შიდა წყლების,ნიადაგების,მცენარეული და ცხოველთა სამყაროს) შესწავლა. მნიშვნელოვანი ფაქრობრივი მასალაა დაგროვილი შიდა ქართლის რელიეფის წარსულისა და აწმყოსადმი მიძღვნილ გეომორფოლოგიურ გამოკვლევებში.